



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



1/271



09/07/2020

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში ზოგიერთი სტატისტიკური
მონაცემის წარმოების წესის დამტკიცების შესახებ

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის №337 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) სტატისტიკური მონაცემების დამმუშავებელი სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ზოგიერთი ფუნქცია-მოვალეობის შესრულების შესახებ სტატისტიკური მონაცემების წარმოების წესი ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სტატისტიკური მონაცემები არ მოიცავს „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნისა და პროაქტიულად გამოქვეყნების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 26 აგვისტოს №219 დადგენილებით განსაზღვრულ სტატისტიკურ მონაცემებს.
3. ბრძანების დანართით განსაზღვრულ სტატისტიკური მონაცემების დამმუშავებელ სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს, სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებს დაევალოთ, აწარმოონ ამ ბრძანების დანართით განსაზღვრული მონაცემების დამუშავება.
4. ამ ბრძანების საფუძველზე დამმუშავებული სტატისტიკური მონაცემების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსებასა და განთავსების პერიოდის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტროს ადმინისტრაცია (დეპარტამენტი).
5. ბრძანება გაეცნოს დაინტერესებულ პირებს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი დაინტერესებულ პირთათვის გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი, №64).

მინისტრი
ვახტანგ გომელაური



| № | სტატისტიკური მონაცემები | საანგარიშო პერიოდი | მონაცემთა დამუშავებელი (სტრუქტურული ქვედანაყოფი/საჯარო სამართლის იურიდიული პირი / სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება) | მონაცემთა დაანგარიშების პერიოდი და მეთოდოლოგია |
|---|--|---|--|---|
| 1 | რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკური მონაცემები, საქართველოს ყველა საგამომიებო უწყების მიხედვით (დანაშაულის სახეობის, ცალკეული მუხლებისა ან/და მუხლთა ერთობლიობით და გახსნის მაჩვენებლის მითითებით). | 1 (ერთი) თვე; კუმულატიური (ნაზარდი ჯამი). | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 2 | <p>ა) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგიერთი მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სტატისტიკური მონაცემები (ტერიტორიული განფენილობის, სამართალდამრღვევთა სქესის/ასაკის მითითებით), გარდა საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო გამოვლენილი სამართალდარღვევებისა;</p> <p>ბ) საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად გამოვლენილი სამართალდარღვევების სტატისტიკური მონაცემები, მათ შორის ვიდეოჯარიმები (ტერიტორიული განფენილობის და შესაბამისი მუხლის/კუნექტის/ნაწილის მითითებით);</p> | 1 (ერთი) თვე; კვარტალი; წელი. | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი/საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი თვისა და კვარტლის წინასწარი მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე; • შესაბამისი თვისა და კვარტლის შემაჯამებელი მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდს + 45 დღე; • სრული წლის წინასწარი მონაცემები დაანგარიშდება წლის დასრულებიდან + 45 დღე; • სრული წლის საბოლოო მონაცემები დაანგარიშდება წლის დასრულებიდან +75 დღე. |

| | | | | |
|---|--|-------------------------------|---------------------------------|---|
| | <p>გ) ვიდუოჯარიმების სტატისტიკური მონაცემები (ტერიტორიული განფენილობის, 20%-იანი შეღავათით სარგებლობის შესახებ მონაცემების მითითებით).</p> | | | |
| 3 | <p>საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების სტატისტიკური მონაცემები:</p> <p>ა) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად (ტერიტორიული განფენილობის, დაღუპული/დაშავებული პირების რაოდენობის მითითებით);</p> <p>ა.ა) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის სამოქმედო ტერიტორიის შესაბამისად (სახეების, სატრანსპორტო საშუალების ტიპის, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის სავარაუდო მიზეზის, დაღუპული/დაშავებული პირების მონაცემების (ქვეითი/სხვა მონაწილე - სქესი/ასაკი) მითითებით);</p> <p>ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად (ტერიტორიული განფენილობის, შესაბამისი მუხლის/პუნქტის/ნაწილის მითითებით).</p> | 1 (ერთი) თვე; კვარტალი; წელი. | საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი | <p>„ა“ და „ა.ა“ პუნქტებით გათვალისწინებული მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.</p> <p>„ბ“ პუნქტით გათვალისწინებული მონაცემები:</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაბამისი თვისა და კვარტლის წინასწარი მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე; • შესაბამისი თვისა და კვარტლის შემჯამებელი მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდს + 45 დღე; • სრული წლის წინასწარი მონაცემები დაანგარიშდება წლის დასრულებიდან +45 დღე; • სრული წლის საბოლოო მონაცემები დაანგარიშდება წლის დასრულებიდან +75 დღე. |

| | | | | |
|---|---|-------------------------------|---------------------------------------|--|
| 4 | <ul style="list-style-type: none"> • უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მართვის მოწმობების (პირველადი) სტატისტიკური მონაცემები (მართვის მოწმობის მფლობელი პირის მონაცემების (სქესი/ასაკი/მოქალაქეობა), ტერიტორიული განფენილობის (პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით), მართვის მოწმობის გაცემის თარიღის (თვე/წელი) მითითებით); • საქართველოში რეგისტრირებულ პირებზე რიცხული მართვის მოწმობების სტატისტიკური მონაცემები (პირის რეგისტრაციის ადგილის/სქესის/ასაკის მითითებით). | 1 (ერთი) თვე; წელი. | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 5 | <p>უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული მართვის მოწმობებზე მინიჭებული ქულების შესახებ სტატისტიკური მონაცემები:</p> <p>ა) ქულების დაკლების ფაქტების შესახებ (ტერიტორიული განფენილობის (სამართალდარღვევის ადგილის მიხედვით), მუხლის/ნაწილის/ქვეპუნქტის მითითებით);</p> <p>ბ) პირთა შესახებ რომელთაც დააკლდათ და ამოეწურათ ქულები (ტერიტორიული განფენილობის (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დაფიქსირებისას სამართალდამრღვევის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით) მითითებით);</p> <p>გ) პირთა შესახებ, რომელთაც შეუნარჩუნდათ მართვის მოწმობაზე მინიჭებული 100 ქულა (ტერიტორიული განფენილობის (პირის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით) მითითებით).</p> | 1 (ერთი) თვე; კვარტალი; წელი. | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |

| | | | | |
|---|--|-------------------------------|--|--|
| 6 | <p>აქტიური სტატუსით რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებების სტატისტიკური მონაცემები, სატრანსპორტო საშუალებების პირველადი რეგისტრაცია, შიდა გასხვიებები (მფლობელის ცვლილება), ჩამოწერის ან საზღვარგარეთ გაყვანის მიზნით აღრიცხვიდან მოხსნილი სატრანსპორტო საშუალებები (ტრანსპორტის ტიპის, ძარის ტიპის, მარკის, მოდელის, გამოშვების თარიღის, რეგისტრაციის თარიღის, ფერის, საწვავის ტიპის, ძრავის მოცულობის, დასაშვები წონის, მესაკუთრის ტიპის, ტერიტორიული განფენილობის (რეგიონი - სატრანსპორტო საშუალებების რეგისტრაციისას მითითებული მესაკუთრის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით) მითითებით);</p> <p>იმპორტირებული, რეექსპორტირებული და ექსპორტირებული სატრანსპორტო საშუალებები (ტრანსპორტის ტიპის, ძარის ტიპის, მარკის, მოდელის, გამოშვების თარიღის, ფერის, საწვავის ტიპის, ძრავის მოცულობის, დასაშვები წონის მითითებით).</p> | 1 (ერთი) თვე; წელი. | საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 7 | <p>ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების დადგენის მიზნით გამოსაკვლევად წარდგენილ და დადებითი შედეგის მქონე პირთა სტატისტიკური მონაცემები (სქესის/ასაკის/მოქალაქეობის, ტერიტორიული განფენილობის მითითებით) .</p> | 1 (ერთი) თვე; წელი. | საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 8 | <p>დროებითი მოთავსების იზოლატორებში მოთავსებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდღვევათა კოდექსისა და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლების, სქესის/ასაკის/მოქალაქეობის, პრეტენზიის მქონე დაკავებულთა რაოდენობის, მოთავსებულ პირთა სხეულზე არსებული დაზიანებების მიღების კონკრეტული პერიოდისა და ადმინისტრაციულ პატიმრობაშეფარდებული პირებისათვის პატიმრობის ვადების მითითებით).</p> | 1 (ერთი) თვე; კვარტალი; წელი. | დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |

| | | | | |
|----|---|--|--|--|
| 9 | ოჯახში ძალადობის ფაქტებზე გამოცემული შემაკავებელი ორდერების სტატისტიკური მონაცემები (ტერიტორიული განფენილობის, მონაწილე პირებისა (მომალადე/მსხვერპლი - სქესის/ ასაკის მითითებით) და ძალადობის სახეების მითითებით). | 1 (ერთი) თვე; 6 (ექვსი) თვე; წელი. | საინფორმაციო- ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 10 | სუიციდისა და სუიციდის მცდელობის სტატისტიკური მონაცემები (სქესის/ასაკის/მოქალაქეობის, ტერიტორიული განფენილობის მითითებით). | 6 (ექვსი) თვე; წელი. | საინფორმაციო- ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან + 60 დღე. |
| 11 | სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, სამუშაო ადგილზე დაშვებული და გარდაცვლილი პირების სტატისტიკური მონაცემები (ასაკის/სქესის, ტერიტორიული განფენილობის მითითებით). | 6 (ექვსი) თვე; წელი. | საინფორმაციო- ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან + 60 დღე. |
| 12 | უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების სტატისტიკური მონაცემები (სქესის/ასაკის/მოქალაქეობის, ტერიტორიული განფენილობის მითითებით), მათ შორის ნაპოვნი პირების რაოდენობა (გარდაცვლილი/ცოცხალი - ასაკობრივი მონაცემების მითითებით). | 6 (ექვსი) თვე; წელი. | საინფორმაციო- ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 13 | საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრანსპორტის სტატისტიკური მონაცემები. | 1 (ერთი) თვე; წელი. | საინფორმაციო- ანალიტიკური დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 14 | საქართველოდან გამეევებულ, რეადმისირებულ, დროებითი განთავსების ცენტრში განთავსებულ, თავშესაფრის მაძიებლად რეგისტრირებულ პირთა სტატისტიკური მონაცემები (სქესის/ასაკის/ მოქალაქეობის მიხედვით). | 1 (ერთი) თვე; კვარტალი; წელი. | მიგრაციის დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |

| | | | | |
|----|--|-------------------------------|---|--|
| 15 | ლტოლვილისა და ჰუმანიტარული სტატუსის მინიჭების ან მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ სტატისტიკური მონაცემები (სქესის/ასაკის/მოქალაქეობის მიხედვით). | 1 (ერთი) თვე; კვარტალი; წელი. | მიგრაციის დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 16 | კანონიერ ძალაში შესული სამინისტროს წინააღმდეგ დასრულებული სასამართლო დავების ჩამონათვალი (დავის საგნისა და დაკისრებული პასუხისმგებლობის მითითებით). | 6 (ექვსი) თვე; წელი. | იურიდიული დეპარტამენტი/საჯარო სამართლის იურიდიული პირები / სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 17 | "სააღსრულებო წარმოებათა შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში არსებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან იძულებითი წესით ჩამოჭრილი თანხები. | 6 (ექვსი) თვე; წელი. | ეკონომიკური დეპარტამენტი/საჯარო სამართლის იურიდიული პირები/ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებები | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 18 | გენერალური ინსპექციის (დეპარტამენტი) მიერ სამინისტროს თანამშრომლების მიმართ დაკისრებული დისციპლინური სახდელბის სტატისტიკური მონაცემები. | 1 (ერთი) წელი. | გენერალური ინსპექცია (დეპარტამენტი) | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 19 | სამინისტროს ადმინისტრაციული შენობების (დეპარტამენტი, სამმართველო, განყოფილება) შიდა/გარე პერიმეტრზე დამონტაჟებული ვიდეოსამეთვალყურეო კამერების რაოდენობა. | 6 (ექვსი) თვე; წელი. | სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი "112" | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 20 | დამონტაჟებული ვიდეოკამერებისა და წერტილოვანი რადარების შესახებ ინფორმაცია (ტერიტორიული განფენილობის მითითებით). | 6 (ექვსი) თვე; წელი. | სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი "112" | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |
| 21 | მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლების მიზნით გამართული ღონისძიებების ჩამონათვალი. | კვარტალი; წელი. | სტრატეგიული კომუნიკაციების დეპარტამენტი | მონაცემები დაანგარიშდება საანგარიშო პერიოდის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე. |